# ჩვენი გზა

№ 37

თფილისი

1907

შაბათი, 20 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 37 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 37



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

---

ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, შაბათს 20 ოქტომბერს მოხდება დაკრძალვა სტუდენტ

**დავით მელიქიშვილისა**

---

**მარიამ მახეიძის ასული, ივანე, ალექსანდრე, დავით და ევა ხანდამიშვილები, ოლღა ჯავახიშვილისა და სოფიო მარტიროზოვისა, პეტრე ხანდამიშვილი და მარიამ ედიბერიძისა და დარია მგალობლიშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორენი—მამის და უკანასკნელნი ძმის და სიძის

**ვასილ ზაქარიას ძე ხანდამიშვილისას**

და სთხოვენ მობრძანდენ 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ავლაბარში—„როზოვაია პლოშჩად“ № 1, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე.

---

—ექიმი—

**ივ. გომართელი**

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს **თფილისში.**

**გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.**

---

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

---

**კბილის ექიმი**

**სამსონ ვაშაყმაძე**

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

---

**УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА**

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ

Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—8) **С. А. ГРЯЗНОВЪ.**

---

**რუსეთიდან** მოსული ქალი ეძებს ადგილს, შეუძლია ყოველივე ოჯახური საქმე გააკეთოს. (5—6.—2)

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს და წრთვნის მოწავლე ქალვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

---

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

---

**ქუთაისში**

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი „**სიმპატია**“ და „**ინტელიგენტი**“, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—6—10.


---

## „ჯადოსნური გამოცანა“

### I

„ჩვენებურ არჩევნების ეხლანდელი ნაყოფი ჯადოსნურ გამოცანას ჰგავს!“... იდაყვ დაყრდნობილ და შუბლზე თით მიბჯენილი ბუტბუტებდა ამ დღეებში გაზ. „ისარის“ მეთაური... ჩვენი გაზეთის გუშინდელ მეთაურ წერილში განვმარტეთ თუ რა აზრი აქვს „ჩვენებურ არჩევნების ეხლანდელ ნაყოფს“, ე. ი. სოც.-დემოკრატიის გამარჯვებას, მაგრამ სოც.-ფედერალისტები აქედან გაიგებენ რასმე, მიიღებენ ჩვენ აზრს? ძალიან საეჭვოა, რადგან იმათ ჩვენი აზრი კი არა, „ღვთის წყალობაც“ არ უნდათ და სამართლიანათაც, ეს მათთვის სახეიროა არ იქნებოდა. მაგრამ თავისი ჭკუით, რომ ისინი ვერ გვიხსნიან „ჯადოსნურ გამოცანას“?

როგორც იმ დღეს აღვნიშნეთ „ადგილობრივ პრესაში“ სოც.-ფედერალისტებმა სოც.-დემოკრატიის გამარჯვებიდან მხოლოდ ის აზრი გამოიტანეს, რომ თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ელემენტები უნდა დაირაზმნენ ორგანიზაციულათ, რათა შემდეგშიაც „ჩვენებურმა არჩევნებმა“ ასეთივე „ნაყოფი“ არ გამოიღოსო. მათივე სტატიიდან ამოწერილ სტრიქონებით აღვნიშნეთ, რომ სოც.-ფედერალისტები პროპაგანდასა და აგიტაციას ეწევიან, რომ ყველანი და ყველაფერი შეაერთონ სოც.-დემოკრატიის დასამარცხებლათ, სოციალისტ კანდიდატების გასაშავებლათ. და რადგან ასე უმოწყალოთ გავატიტვლეთ ჩვენი უებრო „სოციალისტები“, ამათ, განზრახ თუ ნამდვილათ, ისე შერცხვენიათ თავის თავისა, რომ ამაზე ეხლა გვაგინებენ და გვებუზღუნებიან: „საბრალო პუბლიცისტები! ნათ ყველგან აგიტაცია და პროპაგანდა ელანდებათ, რადგან თვით მათ მეტი არაფერი ძალუძთ“-ო. როგორ? განა ჩვენ საძრახისათ ჩაგვეთვლება ის, რომ ყველგან და ყოველთვის აგიტაცია-პროპაგანდას ვეწევით?.. პარტიულ ორგანიზაციებსაც ხომ ვაწყობთ? აკი თქვენ თვითონ აღიარებთ და ხედავთ თქვენივე უბედური თვალით „ქართველ სოციალდემოკრატებს, პარტიულათ დარაზმულებს და პარტიულის დისციპლინით ძლიერებს“. სხვა რაღა მოგვეთხოვება ბატონებო?—„ცოდნა, ცოდნა მოგეთხოვებათ, ვაჟბატონებო“, ჭყლოპინობთ თქვენ. ჰე!.. ცოდნა თქვენი არ გვეყოფა, „ცოდნა“, რომელიც ასე აშკარათ გამოსჭვივის თქვენი ნაწერების ყველა სტრიქონებიდან. აი, ჩავყვეთ საკითხს და აქაც დავინახავთ რა ცოდნის პატრონნიც ბრძანდებით.

გაზ. „ისარმა“ თავის ფურცლებზე აღიარა სოციალდემოკრატიის ძლიერება—შედარებით მაინც—და იქვე, თვითონვე გააბათილა და უარჰყო თავისი აზრი, რადგან დასძინა, რომ სოც.-დემოკრატების გამარჯვება არ ყოფილა მათი, თუნდ შედარებითი, ძლიერების დემონსტრაცია, არამედ ეს იყო მხოლოდ „**შემთხვევითი გამარჯვება**“, ე. ი. „ჯადოსნური გამოცანა“.—?!?.

ვინც სოც. ფედერალისტების ჭკუის სიძლიერეს არ იცნობს, ის გაშტერდება იმათ ასეთ „გამოკვლევაზე“. საჭიროა ავხსნათ: სოც.-ფედერალისტებს ის აზრი უნდოდათ გამოეთქვათ, ვითომ ჩვენებურ არჩევნებზე სრულებით არ ყოფილიყოს არავითარი ისეთი პირობები, რომ სოც. დემოკრატიას თავისი ძალა ეშინჯოს, მას არ ჰყოლია ისეთი მოპირდაპირე, რომ ძალის რაიმე დაფასება შესაძლებელი ყოფილიყოს. ამაზე თავის დროზევე შევნიშნეთ, რომ თუ სოც.-ფედერალისტები სხვას ვერავის ხედავდენ, მათ თავისი არსებობა მაინც არ უნდა დავიწყებოდათ. და თუ იგინი თავიანთ ბრძოლას (სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ) ანგარიშში არ აგდებენ, მაშ რაღათ იწვდიან ფეხს, რაღათ ერევიან მარაქაში, რათ უძახიან თავის თავს „პარტიას“? გაზ. „ისარი“ გვშარობს, ჩვენ ეგ არ გვითქვამს, არ გვითქვამს „ვითომ ჩვენ ეს ბრძოლა ანგარიშში ჩასაგდებათ არ მიგვაჩნდეს“... ჰაი, ჰაი, რომ ამას თქვენ პირდაპირ ვერ იტყოდით, მარა ჩვენ თქვენ სიტყვებში აზრებს ვეძებთ ხოლმე და აზრი სწორეთ ასეთი იყო. „ისარი“ გვიწყრება, „როგორც მოიპრიანებენ, ისეთ კუდს გამოაბამენ თქვენ სიტყვებსო“ და მთელ საქმესა ხსნის გულმავიწყობით, და ვისი? ჩვენივე გულმავიწყობით. ის დაყვავებით გვეუბნება: „მაგრამ ეხლანდელ **არჩევნებზე სოც.-ფედერალისტები სულ არ გამოჩენილან** და არც საარჩევნო ბრძოლა გაუმართავთ თქვენთან. ვითომ, დაგავიწყდათ თუ?—დაუჯერებელი გულმავიწყობა გცოდნიათ, დალოცვილებო!“ მოითმინეთ!

მართალია, მას ჟამსა შინა ფირმანი გამოვიდა და „ისარმა“ ჩააწიკწიკა: „როგორც გადმოგვცემენ, სოც.-ფედერალისტთა პარტიულ კონფერენციას დაუდგენია—პარტიამ მესამე დუმის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოსო“, მართალია ისიც, რომ ამ ფირმანის გამოსვლის დღემდე სოც.-ფედერალისტები თავის გაზეთში მხურვალე მომხრე იყვენ არჩევნებში მონაწილეობისა, მაგრამ ისიც სწორეა, რომ მეორე-მესამე დღეს ფირმანის გამოსვლისა, რომელიც იუწყებოდა ბოიკოტს, იმავე გაზ. „ისარმა“ იმ საკითხის შესახებ, თუ არჩევნებზე რა ურთიერთობა უნდა დაეჭირათ სოციალისტებთან, რევოლიუციონერებთან, თუ სხვასთან, „ისარმა“ შემოსძახა: „ესეც მიყვარს, ისიც მიყვარს, ერთი ვინმე პროგრესისტი მთელ ქვეყანას მირჩევნიაო“. თავის-თავათ ცხადია, რომ ამ სიმღერით მაინც „სოც.-ფედერალისტთა პარტიას“ ოფიციალურათ, „ზაპრეშჩენიე“ აეხსნა და როგორ აეხსნა? სოც.-ფედერალისტებს სრული თავისუფლება მიენიჭათ—არც უამისოთ დაიხევდენ უკან, ისინი ხომ პარტიულ დისციპლინას ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას უწოდებდენ—თავისუფლება მიენიჭათ სოც.-დემოკრატიის კანდიდატის წინააღმდეგ გაეთეთრებინათ ყოველნაირ პოლიტიკურ ელფერის კანდიდატი; ვამბობ „ყოველნაირი“, რადგან ამიერ კავკასიაში „პროგრესისტზე“ მარჯვნივ არავითარი „პოლიტიკური“ ელემენტები“ არ არსებობენ, თუ სახეში არ მივიღებთ მამა გოროდცევის „პარტიას“, რომელსაც ჩვენ არჩევნებზე მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან ცალკე, რუსული კურია ჰქონდათ.

მაგრამ დღეს მაინც სამკითხო აღარ არის სოც.-ფედერალისტების არჩევნებში მონაწილეობა. ყველამ, გარდა ბრმაყრუებისა და თვით სოც.-ფედერალისტებისა, კარკათ იცის, რომ იგინი მიდიოდენ საარჩევნო ყუთებისკენ, ირჩევდენ და ირჩეოდენ, ე. ი. ანხორციელებდენ როგორც პასიურ, ისე აქტიურ უფლებას და ზოგიერთ ადგილებში აირჩიეს კიდეც სოც.-ფედერალისტები დაბალ საფეხურებზე; ხოლო თვით დუმაში გასაგზავნათაც „ქართულ ეროვნულ საქმის“ დასაცავათ სოც.-ფედერალისტებმა მხარი მისცეს „პროგრესისტს“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელსაც თურმე ქართული ლაპარაკიც კი არ სცოდნია... ჩვენ ამ გარემოების აღნიშვნით სრულებით აზრათ არა გვაქვს ბ. ანდრონიკაშვილის პიროვნების დამცირება. ვაღიარებთ, რომ „სოც.-ფედერალისტთა პარტიას“ ბ. ანდრონიკაშვილზე უკეთესი ბევრი არ მოეძებნებათ და რომ დუმაში გასაგზავნათ უკეთესი სულ არ გააჩნიათ, ამას მგონი თვითონაც აღიარებენ. ჩვენ შეგვიძლიან თვით ს.-ფედერალისტებსაც ბოდიში მოვხადოთ. სიამოვნებით ვაღიარებთ, რომ იგინი ფიზიკურათაც კი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ—იძულებულნი არიან ქართულის არ მცოდნე ამჯობინონ სოციალდემოკრატებს, რომლებიც „უარჰყოფენ ქართულ ენას და ქართულ ეროვნებას“; რა ვუყოთ, რომ ქართველ სოც.-დემოკრატიის ინტერნაციონალურ ტრიბუნაზე ზოგჯერ არა ქართველი ორატორი მაგ. სომეხი მუშა, ისე კარგათ ლაპარაკობს ქართულათ, რომ ბევრ ნასწავლ ფედერალისტს გაუჭირდებოდა თავის გამოჩენა (ამას დაამოწმებენ თვით ის ფედერალისტები, რომელნიც ერთხელ შეცდომით დაესწრენ თფილისის მუშათა ერთ კონფერენციას, სადაც განსახილველი იყო პროფესიონალური საკითხები) ს.-ფედერალისტებმა ყველა ეს კარგათ იციან, იციან ისიც, რომ „ქართველ ეროვნულ საქმის დამცველს“ უეჭველათ მოეთხოვება ქართული ლაპარაკი და, თუ შეიძლება, ქართულ წერის ცოდნაც,—მარა ქართული ლაპარაკი რომ არ არის საკმაო, საჭიროა ცოდნაც და „ცოდნა“ კი მოეპოება ყველას, გარდა ქართველ სოციალდემოკრატებისა. სოც.-ფედერალისტებმა რომ ზურგი შეაქციონ ყველა ქართულის არ მცოდნეს, მათ რომ მაგ. თავის პარტიულ წესდებაში შეიტანონ მუხლი: „სოც.-ფედერალისტების წრეში არ მიიღების კაცი ქალებს უხდებათ და აკეკლუცებს რუსულ ენაზე ლაპარაკი *)—კაცი, რომელსაც არ ძალუძს ქართული“, მაშინ ს.-ფედერალისტების „რაზმები“ ძალიან შეთხელდებოდენ, მათ დარჩებოდათ მხოლოდ ის სამი თუ ოთხი კაცი, რომელნიც თავის კალამს ავარჯიშებენ გაზეთ „ისარში“.

რაკი ს.-ფედერალისტთა „დანაშაულობის შემამცირებელ გარემოებაზე“ ჩამოვაგდეთ სიტყვა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში, „შემთხვევაც“ მუშაობდა. როდესაც ს.-ფ.-ბი „აგიტაცია-პროპაგანდას“ ეწეოდენ თავის კანდიდატის სასარგებლოთ, ისინი სრულებით ვერ წარმოიდგენდენ, თუ რაიმე „ჯადო“ გამოამჟღავნებდა იმის ქართულის უცოდინარობას. მოგეხსენებათ, რომ „კეთილშობილ საზოგადოებაში“ მიღებულია, თითქმის სავალდებულოა, რუსულათ ლაპარაკი. ამას ითხოვს bon ton-ი („კარგი აღზრდა“). და აბა სოც. ფედერალისტები რას იფიქრებდენ, რომ კეთილშობილთა „სობრანიის“ დარბაზში გამოჩნდებოდა ვინმე კვიმატი ამრჩეველი, რომელიც მოისურვებდა „ქართველ“ სადეპუტატო კაცის ქართულ ენა-წყლიანობის გაგონებას?..

ასე და ამნაირათ მოხდა სოც.-ფედერალისტების პატარა ოჯახში დიდი სკანდალი...

*) ამ სამიოდ წლის წინათ ქ. ბრიუსელში ორი ქართველი ქალი ესტუმრა ელიზე რეკლიუს იმის სათხოვნელათ, რომ სახელოვანი მეცნიერი „ქართულ ეროვნულ საქმესაც“ გამოსარჩლებოდა. ჩვენ ქალებს, ლაპარაკის დროს, მალე შემოაკლდათ ფრანგული სიტყვები და ერთმანეთს, რასაკვირველია, „ჩაუპარუსკეს“. ამაზე ელიზე რეკლიუმ ღიმილით შენიშნა: „მე მესმის, თქვენ რუსულათ დაელაპარაკეთ ერთმანეთს, განა ქართველმა ხალხმა უკვე დაკარგა თვისი სამშობლო ენაო?“ განსვენებულმა რეკლიუმ არ იცოდა, რომ ეს ქალები სოც.-ფედერალისტები იყვენ; მაშინ თვით ეს „პარტიაც“ ახლათ იყო გამოჩეკილი.

---

## ადგილობრივი პრესა

„ისარის“ გუშინწინდელ ნომერში მოთავსებულია ფელეტონი, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

**ილია ჭავჭავაძის**

დაუბეჭდავი ლექსები.

როგორც მკითხველს მოეხსენება, განსვენებულ პოეტის ხელნაწერებში აღმოჩნდა რამდენიმე ლექსი, რომელიც ჯერ არსად დაბეჭდილა და აგრეთვე მოთხრობა „კაკო“. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ყველა ეს ლექსები და მოთხრობა, დღეს ვბეჭდავთ ორს ლექსს „მთვარეს“ და „რისთვის მიყვარხარ?“

**მთვარეს**

მთვარევ! გჭვრეტ მშვიდათ მიცურავ ცაზედ
და შენ მკრთალ სხივთა ჰყრი ქვეყანაზე
და მძინარ სოფელს კამარა ცისა
თვის სიმშვიდითა არ უფრთხობს ძილსა.
ყოველი ჩუმობს გარშამო ჩემსა,
სძინავთ ნიავთა, სძინავთ ფოთლებსა,
ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება,
ყველას მშვიდობა ეალერსება;
და ხოლოთ ჩემი ურვით—მოკლული
შემომტირის მე მწუხარეთ გული;
მისთვის ხომ არა, რომ ვჭვრეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქეროდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვაფრად გაბრწყინვებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული!.

1858 წელსა, 23 ივნისს.

სოფ. ტიარლევო.

ეხლა მკითხველსა ვთხოვთ აიღოს ამ 15 წლის წინათ გამოცემული კრებული ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა, გადაშალოს გვერდი მე-20-ე და წაიკითხოს იქ დაბეჭდილი ლექსი “უცხოეთში“. მკითხველი დარწმუნდება, რომ ეს და ზემოთ მოყვანილი **„ჯერ არსად დაბეჭდილი“** ლექსი სრულიად ერთი და იგივეა. შეცვლილია მხოლოდ სათაური და რამოდენიმე პირველი სამი სტრიქონი. მაგრამ განა პოეტი რამდენ სტრიქონსაც შესცვლის თავის ლექსში, იმდენ ჯერ ახალ ლექსს თხზავს? ან იქნება აქ უბრალო შეცდომაა? დავიჯეროთ, რომ ილ. ჭავჭავაძეს და „ეროვნულ საქმის“ ჭირისუფალთ ილიას ლექსთა კრებული მაინც არ წაუკითხავთ? ან შეიძლება იგინი იმდენათ გაიტაცა ვაჭრულ, ჩარჩულ ინტერესებმა, რეკლამის ძებნამ, რომ განზრახ ჩაიდინეს სიყალბე? ლიტერატურული უკიცობა თუ ლიტერატურის ჩარჩობა-ვაჭრობაზე გაცვლა ორივე თავს-ლაფ დამახშელია...

# ახალი ამბები

**ქალაქის საბჭოს კრება.** 18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. განსახილველი იყო 11 კითხვა. მოასწრეს მხოლოდ შემდეგი 3 კითხვის განხილვა: 1) გამგეობის მოხსენება 1908 წ. ტრაქტირებზე გასაწერ გადასახადების რაოდენობის შესახებ; 2) გუბერნატორის წინადადება, რომ აღდგენილ იქნას მიმოსვლის ნიხრი საბირჟო ეტლებზე და 3) არჩევნები სასურსათო კომისიის წევრებისა. პირველი კითხვის შესახებ 2 საათის კამათის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა, დასტოვოს ტრაქტირების შარშანდელი გადასახადი. მეორე კითხვამ ცხარე კამათი გამოიწვია, ზოგი იმის მომხრე იყო, რომ დაწესდეს ნიხრი ქალაქის ყველა ქუჩებზე მიმოსვლისათვის; ზოგიც იმის, რომ არავითარი ნიხრი არ დაწესდეს. დიდი ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ძველი საბჭოს დადგენილება, რომელიც აწესებს მხოლოდ ისეთ ნორმას ნიხრისას, რომელზედაც მეტის აღება მეეტლეებს არ შეეძლებათ. შეტანილ იქნა ერთი ცვლილება სახელდობრ, სასაფლაომდის ეტლით მისვლა ძველი ნიხრით ღირდა 80 კ., ახლა კი ეღირება 60 კ. მესამე კითხვის შესახებ დადგენილ იქნა, სასურსათო კომისიამ ორი კვირის განმავლობაში შეკრიბოს დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნიხრი პურზე და რა საშუალებით იქნება შესაძლებელი პურის გაიაფება. ამისათვის აირჩიეს კომისია ხუთი კაცისაგან. კანდიდატებათ შემდეგი პირები იქნენ წამოყენებული: ეირანოვი, ვერმიშევი, ტერტეროვი, რუდაკოვი, მახარაძე და თაირიანი. სხდომამ 12 საათამდე გასტანა. შემდეგი მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 22 ოქტომბერს.

✦ **ფქვილით დახმარება.** კავკასიის უმაღლეს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქს ფქვილი დააკლდა, საინტენდატო მართველობამ ყოველ წელს ორი კვირის განმავლობაში ქალაქს აძლიოს ყოველ დღე 500 ფუთი ფქვილი, იმ პირობით, რომ ქალაქმა ფქვილი დაუბრუნოს მართველობას, როდესაც ამას შეიძლებს.

✦ **შერეული კომისიის კრება.** დღეს, 20 ოქტომბერს, ქალ. საბჭოს დარბაზში საღამოს 8 საათზე, მოხდება შერეულ კომისიის კრება ხმოსნის არღუთინსკის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები. იქონიებენ მსჯელობას კანონის გამოცემაზე ნორმალურ დასვენების შესახებ.

✦ **ხელმეორეთ დაპატიმრება.** 18 ოქტომბერს პოლიციას შეუპყრია ამას წინეთ თფილ. გენ.-გუბერნატორის მიერ ვიატკის გუბერნიაში გადასახლებული თფილისის მცხოვრები ალი ბალა ალაკფერ ოღლი, რომელიც თავისი ნებით ვიატკის გუბერნიიდან უკან დაბრუნებულა. მასთან შეუპყრიათ სპარსეთის ქვეშევრდომი ალი კული მაშადი აბდულ ოღლი. დაპატიმრებულნი საგუბერნიო ციხეში ჩაუმწყვდევიათ.

✦ **თამამშევის ლექცია.** დღეს პუშკინის სამკითხველოში საღამოს 6 ს. მ. ი. თამამშევი წაიკითხავს რუსულ ენაზე 1-ლ ლექციას: „ისტორია აღმოსავლეთის ხალხთა სარწმუნოებისა". ეს ის თამამშევია, რომელიც პარიზის უმაღლეს რუსულ სკოლაში სისტემატიურათ კითხულობდა ამ შინაარსის ლექციებს.

✦ **სინოდალური კანტორის თხოვნა.** სინოდალური კანტორის ადმინისტრაციას თხოვნით მიუმართავს თფილისის გუბერნატორისათვის ნება დართოს მან კანტორის ყველა მოსამსახურეებს ატარონ იარაღი, რადგან მათ ხშირათ თავს ესხმიან.

✦ **ლექციები ყვავილის შესახებ.** კვირას, 21 ოქტომბერს კავკასიის საექიმო საზოგადოების მიერ გეორგიევის ქუჩაზე № 4 საზოგადოების შენობაში გაიმართება ლექციები ყვავილის შესახებ. წაიკითხავენ: ექ. ი. ვ. ბუხი—რუსულ ენაზე საღამოს 6 ს., ექ. ლ. ხ. ქალანთარიანი—სომხურ ენაზე 7 ს. საღამოს. ლექციები იქნება ბუნდოვანი სურათებით. შესვლა უფასოა.

✦ გარდაცვალებული **ვასილ ზაქარიასძე ხანდამიშვილის** ჭირისუფლები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ, რადგანაც 21 ოქტომბერს შეემთხვა ხელმწიფის ტახტზე ასვლის დღესასწაული და ამ დღეს მიცვალებულების დაკრძალვა აკრძალულია, მიცვალებულის დაკრძალავენ ორშაბათს, 22 ოქტომბერს.

✦ **ლექციების დაწყება.** 24 ოქტომბრიდან მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში დაიწყება ლექციების კითხვა სომხურ ენაზე მოზარდ სომხებისათვის. ლექციებს გამართავს სახალხო უნივერსიტეტის სომხური სექცია.

✦ **ობლების შესახებ** ხვალ დილის 11 ნახევარ ს. მოხდება საზოგადო კრება ობლებზე მზრუნველ სომეხ ქალთა საზოგადოებისა. განიხილავენ 1907 წ. ანგარიშს- 1907 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის და კითხვის 3 ობოლის მ ღების შესახებ.

✦ **სამეურნეო საბჭოს დადგენილება.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუდგენია, ეცნობოს საზოგადოების ყველა წევრებს—აუცილებლივ შემოიტანონ საწევრო გადასახადი ამ თვის 27 დის, წინააღმდეგ შემთხვევაში, წევრობიდან გამოირიცხებიან.

✦ **შანტაჟისტური წერილი.** ამ დღეებში გაზ. „შურდულის" რედაქტორს, ს. თავდიშვილს მიუღია უსახელო წერილი, რომელშიც ემუქრებიან სიკვდილს, თუ სამი დღის განმავლობაში ადგილი არ დატოვა. თავდიშვილი, წერილის ავტორის აზრით, იმაშია თურმე „დამნაშავე", რომ ის „სიტყვით სოც.-დემოკრატია და საქმით მთელი მუშის მოღალატე", რადგან სასამართლოში მსახურებს. წერილში ვკითხულობთ: „აი ახლა შენ გირჩევთ სხვა ადგილი მონახო და მაგ შენ ხულიგანურ სამსახურს თავი დაანებო როგორც სიტყვით ხარ, ისე საქმით იყავი და გინდა შიმშილით ლოკვდი ნამდვილს საქმეზე და გამოდი მაგ ადგილიდან"... წერილს ხელს აწერს „მოსამსახურეთა ბიურო"

✦ **წარმოდგენის გადადება.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 21 ოქტომბრისათვის ნიკიტინის ცირკში დანიშნული ქართული წარმოდგენა გადაიდო 4 ნოემბრისათვის და გაიმართება რენესანსის თეატრში; ამ წარმოდგენისათვის შეძენილი ბილეთები გამოდგება 4 ნოემბერსაც.

✦ **თავდასხმა.** 18 ოქტომბერს, საღ. 6 საათ., კოლოკოლნი პერეულკაზე, გამვლელს მეორე გილდის ვაჭარს გიგო ჭავჭანიძეს დასცემიან სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი: წაურთმევიათ 4 მ. ფული, 1,000 მ. ბარათი და სხვადასხვა ანგარიშები. ექვით შეუპყრიათ გეურქ ტერ-გრიგოროვი.

# რუსეთის პრესა

## კიდევ ეროვნულ საკითხზე.

წინაზე კადეტებმა როგორღაც ჩაილაპარაკეს, რომ სამი ივნისის აქტმა ერთობ მიჰკერძა რუსებს, ძალიან დიდი უსამართლობა ჩაიდინა „ინოროდცების" მიმართ და რომ „იმ დროს, როცა რუსეთს უფრო ესაჭიროება ხალხთა ერთობა, ახალმა კანონმა უფრო გააძლიერა კლასიური და ნაციონალური განხეთქილება". ამაზე „გოლ. მოსკ." სწერს.

„კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიას ჩვენ იმიტომაც ვუსაყვედურებთ ქარაფშუტობას რომ იგინი „ინოროდეცებს" განაპირა ქვეყნების და კოლონიების მცხოვრებთა ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ ვიდრე ინტერესებს იმ რუსი ხალხისას, რომელმაც თავისი სისხლით შექმნა რუსეთი."

გაზეთის აზრით წინანდელი საარჩევნო კანონი დიდ უპირატესობას აძლევდა „ინოროდცებს", „ამათი რიცხვი შეუწყნარებლათ დიდი იყო დუმაში, უსამართლოთ იჩაგრებოდა რუსი ხალხიო ოქტომბრისტების გაზეთი განმარტავს:

„გავიხსენოთ, როგორ შეურაცყო არშაკ ზურაბოვმა რუსის არმია. გავიხსენოთ თუნდ ამპარტავნული და გამომწვევი სიტყვები პოლონელ და ლატიშელ ნაციონალისტებისა... ერთ პოლონელ ნაციონალისტმა, რომელიც უფრო მეტათ იყო შეპყრობილი შოვინიზმით, შეურაცხყო მთელი რუსული ისტორია, როცა მან აბუჩათ „აზიური" უწოდა „იმ სახელმწიფოებრივ ფორმებს, რომელშიაც დღევანდლამდე ვითარდებოდა რუსეთი"...

და ყველა ეს ხდებოდა... რუსულ დუმაში!!... არაფერს ამის მსგავსს არ მოახდენდენ თავის პარლამენტებში არც გერმანელები, არც ფრანგები და არც ინგლისელები..

ასე გვასწავლის იმ პარტიის ორგანო, რომელიც ეპოტინება მთელი რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელ როლს და დღეს დღეობით კიდეც უახლოვდება ამ როლს. მაგრამ ვინც კი რამდენადმე გაცნობილია საქმის ნამდვილ ვითარებას, ვისაც ახსოვს მეორე სახ. დუმის მოქმედება, იმას კარგათ ეცოდინება, რომ მაგ. არშაკ ზურაბოვმა „შეურაცხყო" არა „რუსეთის არმია არამედ რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია, რომელიც რუსის არმიას, უპირდაპირებს რუსეთის ხალხს. ზემოხსენებულ პოლონელ დეპუტატმა კიდევ ის სამართლიანი აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის ხაზინა კი არ ღარიბდება პოლონელების კულტურულ და ეროვნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ხარჯებით, არამედ პოლონელთა და რუსეთის სხვა ეროვნებათა—ხარჯებით „მდიდრდება" რუსეთის ხაზინა, რომლის ფულებითაც სუქდებიან გურკო-ლიდვალები; და ეს ხდება იმ რეჟიმის წყალობით, რომლის წინააღმდეგ ამხედრებულია მთელი პროგრესიული რუსეთი, მაშასადამე წმინდა რუსებიც. პოლონელმა დეპუტატმა „რუსული ისტორია" კი არ „შეურაცხყო", მან მხოლოდ დაგმო ეს ძველი რეჟიმი, მან მხოლოდ მისცა საგანს ნამდვილი სახელი, როცა ამ „სახელმწიფოებრივ ფორმებს" უწოდა „აზიური". ამ საგანს ასევე იხსენიებს წმინდა რუსი მეცნიერი მ. კოვალევსკი, რომელმაც წელს რუსის უნივერსიტეტში დაიჭირა კათედრა.

მაგრამ ყველა ეს არ უნდათ გაიგონ, თვით ელემენტარული ცნებანი ყირამალა უნდა ესმოდეთ იმათ, ვისთვისაც 3 ივნისის აქტი შეადგენდა „მწუხარე აუცილებლობას" ოქტომბრისტებისათვის ეროვნულ სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს ის გარემოება, რომ მაგ. ამიერკავკასია, რასაც მათი გაზეთი უწოდებს „აზიურ განაპირა ქვეყანას" და რაიც—მათივე სიტყვით—„რუსებს შეუძლიათ" ჩასთვალონ თავის კოლონიათ", ეს ქვეყანა ერთ დეპუტატს ირჩევს მცხოვრებთა იმავე რაოდენობაზე, რაც ძირეულ რუსეთში ირჩევს 4—5 და მეტ დეპუტატს. ამიერ კავკასიის სატახტო ქალაქი თფილისი, თფილისის და ქუთაისის გუბერნია ერთად ირჩევს სულ მხოლოდ ორ დეპუტატს, მაშინ, როდესაც მაგ. მარტო პეტერბურგმა გუშინ აირჩია—ისიც პირდაპირი საარჩევნო სისტემით—ექვსი დეპუტატი.

ამ „საარჩევნო არითმეტიკის" სამართლიანობის დასამტკიცებლათ—ეროვნულ თვალთახედვის წერტილიდან—ოქტომბრისტები უტიფრათ მიგვითითებენ თვით ინგლისის მაგალითზე, იმ ინგლისის, რომელმაც თავის კოლონიებს დაუთმო საკუთარი პარლამენტები და თავის „განაპირა ქვეყნების" ავტონომიები დიდი ბრიტანიის კონსტიტუციაში ჩასწერა!.. უტიფრობა, სიყალბე, ელემენტარული ცნებათა გადამახინჯება მიუცილებელი ფარხმალია იმათთვის, ვინც „პატრიოტულ საკითხებში"—როგორც ღიარა გუჩკოვმა—ერიდებიან შავრაზმელებს და თუმცა სიტყვიერათ, რამოდენათმე აკრიტიკებენ, მარა ნამდვილათ კი იცავენ ძველი რეჟიმის იმავ შოვინისტურ, ნაციონალისტურ პოლიტიკას, რასაც ეწოდება გარუსების პოლიტიკა და რომლის შინაარსია ეროვნული ძალმომრეობა და თვითნებობა..

მაგრამ —კრილოვისა არ იყოს—„იქ სიტყვებს არა ხარჯავენ მუქთათ, სადაც საჭიროა ძალის მოხმარება". ერთად ერთი საშუალება ეროვნულ სამართლიანობის მოსაპოვებლათ არის ყველა დაჩაგრულ ეროვნებათა მუშა ხალხის შეერთებული ძალა.

## რუსთა დეპუტატი კავკასიიდან

კავკასიის რუს მცხოვრებთაგან მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრათ არჩეული ფეოდორ თედოტის ძე **ტიმოშკინი** დაიბადა 1872 წელს. იგი გლეხია სარატოვის გუბერნიისა, პეტროვსკის მაზრიდან. სწავლა მიიღო საეროში შკოლაში. ბავშობიდანვე ტიმოშკინი ხვნა-თესვას ეკიდებოდა, მაგრამ ის მალე დაობლდა და ამიტომ ჯარში გაწვევამდის, ქ. სარატოვსა და ასტრახანში ცხოვრობდა. 1893 წელს გაიწვიეს ჯარში და მსახურებდა არტილერიის სკლადში. სამსახურის დამთავრების შემდეგ ისევ დაბრუნდა სამშობლოში და მსახურებდა ნოქრათ ბეკუნოვის მემკვიდრეებთან ქ. ასტრახანში. შემდეგ ამისა გაგზავნილ იქნა კასპიის მხარეში რწმუნებულათ და შემდეგ კი დაინიშნა ბაქოში კასირათ. ბაქოში მან დაყო 2 წელი, რის შემდეგაც გამოგზავნეს თფილისში კომერციულ განყოფილების დასაარსებლათ.

გაზ. „გოლ. კავკაზ"-ის სიტყვით ფ. თ. ტიმოშკინი ღვთის მოსავი კაცია და მასთან **„ჭეშმარიტი რუსი"**, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით—ჩინებულათ იცის კავკასიის რუსების საჭიროება.

ახალი დეპუტატი მონარქისტია და როგორც მან გამოსთქვა თავის სიტყვაში, მზათაა მედგრათ დაიცვას თვითმპყრობელობა.

## დედის ჩივილი დედა-ენის შესახებ

ყველამ ვიცით, რომ ჩვენის სასწავლებლებიდან ან სრულიად განდევნილია სამშობლო ენის სწავლება, ან ასწავლიან მას, როგორც საგანს. მაგრამ აქაც იგი იმდენათ უმნიშვნელოთ არის მიჩნეული, რომ მისი ცოდნა თუ არ ცოდნა, მოსწავლეს კლასიდან კლასში გადასვლას არ უშლის და ამისათვის. როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებელნიც ღირსეულ ყურადღებას არ აქცევენ. ამას არ ვამბობ ქართული ენის ყველა მასწავლებლებზე და მაგალითად მოვიყვან მხოლოდ ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში სამშობლო ენის სწავლებას. ამ სასწავლებელში სამშობლო ენას დიდხანს ასწავლიდა ბ. აკოფოვი. მის მასწავლებლობაში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 400—500 ქალმა მაინც დაასრულა კურსი, მაგრამ არც ერთმა მათგანმა რიგიანათ არ იცოდა სამშობლო ენა. ამ მასწავლებელმა არამც თუ არ მოუპოვა სასწავლებელში სამშობლო ენას სხვა საგნებთან თანასწორი უფლება, არამედ იმდენათ დაამცირა და გააფუქსავატა იგი სასწავლებლის მმართველთა თვალში, რომ იგი სამასხარო საგნათ იყო მიჩნეული და თვითონ მასწავლებელი მოსწავლეებს სასაცილოდ ყავდათ აგდებული. ბ. აკოფოვი ძლივსღა დაიარებოდა, ძლივს ლაპარაკობდა მოხუცებულობის გამო, მაგრამ მასწავლებლობას თვითონ თავს არ ანებებდა, ხოლო მაშინდელი სასკოლო რეჟიმის მიხედვით, სასწავლებლის მმართველთ ის უფრო სასარგებლოთ მიაჩნდათ, რაც უფრო ცუდათ სწარმოებდა სასწავლებელში სამშობლო ენის სწავლება და ამიტომ ბ. აკოფოვს სამსახურიდან არ ითხოვდენ. ორი-სამი წლის წინეთ ბ. აკოფოვი სრულიად მოუძლურდა და ამიტომ, როგორც იქნა, მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს. იმისი ადგილი დაიჭირა მღ. მათიკაშვილმა. მათიკაშვილმა თუმცა უკეთ წაიყვანა სამშობლო ენის სწავლების საქმე სასწავლებელში, მაგრამ ვერც იმან გამოიჩინა იმდენი მოქალაქობრივი სიმხნევე, რომ მოსწავლეთა თვალში სამშობლო ენის საჭიროების რწმენა აღედგინა.

ორი წლის წინეთ რაღაც მიზეზის გამო მათიკაშვილმაც თავი დაანება მასწავლებლობას ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში. მის ადგილზე მიღებულ იქნა ბ. ჯიმასტარაშვილი.

ქართველ ხალხს თითქო ჩვეულებათ გადაქცევია: სანამ ძალღონე შესწევთ, მთავრობის სამსახურში დნებიან, როცა კი გამოიფიტებიან, მაშინ „ქართველურ" საქმეს დაუბრუნდებიან.

ბ. ჯიმასტარაშვილმა თავის ყმაწვილკაცობა მთავრობის სკოლებს და მის რეჟიმის სამსახურს შესწირა; იქ კარგი „პენსიაც" გაიკრა გვერდზე; ხოლო როცა მოხუცდა, მოიღალ-მოიქანცა და ძალღონე გამოეფიტა, მაშინ „პატრიოტულ" საქმეს დაუბრუნდა და ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლობა იგდო ხელში. მოსწავლეები დაღონდენ: „რაღა სამარიდან ამოჰყავთ ამ წამებული ქართული ენის მასწავლებლები, ნუ თუ ცოცხლებში აღარავინ მოიპოვებიანო?!" თქვეს და ყურები ჩამოყარეს. პირველსავე შეხედვაზე დაეკარგათ მათ მასწავლებლისადმი პატივისცემის გრძნობა: „ეს მეორე აკოფოვი მოგვევლინაო!" ამბობდენ და აბა რაღა ყურადღებას მიაქცევდენ მის საგანს. დღეს მოსწავლე ქალები ამ მასწავლებლის ქართულ ენას ძლიერ უგულოთ ეკიდებიან და თვით ბ. ჯიმასტარაშვილიც უხერხულ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი. ამ დალოცვილმა თვითონაც უნდა იცოდეს, რომ ის მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლეთა უმრავლესობა არაფერს უჯერებს, თავის სალირსო ალაგზე არ არის და მისი ზნეობრივი მოვალეობაა ამ ალაგს თავი დაანებოს, ხოლო მშობლები ვალდებულნი არიან სამშობლო ენის სწავლებას ყურადღება მიაქციონ და სხვა საგნებთან თანაბარი უფლება მოუპოვონ.

იმედი მაქვს, რომ მე, მრავალ მოსწავლე შვილთა დედას, ხმას გამომცემენ სხვა დედებიც ამ უკულმართობასთან საბრძოლველათ და შეერთებულის ძალით ჩააყენებენ ამ საგანს ბუნებრივ კალაპოტში, და დედებმა ასწონ-დასწონონ თავიანთ შვილების ცოდნა და როცა დარწმუნდებიან, რომ არც ერთმა მათგანმა არც ენა იცის და არც ჩვენი მწერლობისა ესმით-რა მაშინ მხარი მომცენ ამ საქმის საწადმართოდ დასატრიალებლათ, ხოლო ჩვენს „მოღვაწეებს" რომლებლისთვისაც „ქვეყნის სიყვარული" მხოლოდ საქმე და არა სიტყვა, ვალად ედებათ (თუ იგინი გულწრფელნი არიან) თავს იდვან წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლობა და აღნიშნული საგნის რიგიან საფუძველზე დაყენება.

ერთი დედათაგანი.

# პროვინცია

**ს. ნიგოითი.** აქაური გლეხის მდგომარეობა სწორეთ რომ აუტანელია. ხუთი-ექვსი თვე იქნება, რაც სიმინდი გამოელიათ და ძლივს სული მოიტანეს შემოდგომამდის, მაგრამ შემოდგომაც დიდ არაფერს იმედებს იძლევა. მოსავალი ძლიერ ცუდია; ასე რომ მთელი მომავალ წელს ხალხს შიმშილი მოელის. მთავრობაც თავის მხრით „მზრუნველობას" არ აკლებს. ისე თვე არ გავა, ახალ-ახალი გადასახადები არ მოითხოვონ. 28 სექტემბერს ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს: „სამი დღის განმავლობაში თუ არ შემოგიტანიათ 17,000 მანეთი იმ ზარალის აღსადგენათ, რომელიც თქვენ მიაყენეთ 1905 წელს ანნა მაჭუტაძეს (აქაური მემამულეა) ტყის გაჩეხით, ჩვენ სასტიკ ზომებს მივმართავთ, ეგზეკუციას ჩამოგიყენებთ და სულ მთლათ აგიკლებთო". ამნაირმა განცხადებამ შიშის ზარი დასცა ხალხს. აირჩიეს კაცები მემამულესთან და და გუბერნატორთან გასაგზავნათ, რათა მათ დრო მიეცათ. როგორც იყო, 15 დეკემბრამდის ადროვეს. ამნაირათ ეგზეკუცია რამოდენიმე დღით გადაიდო! თუ საიდან გადიხდის გაძკალტყავებული გლეხობა ამოდენა ფულს, ამას რასაკვირველია, მთავრობა არ ეძებს! ის თავის მოვალეობას ასრულებს: დარაჯათ უდგას მემამულეების ინტერესებს!

არც მწერალ-მამასახლისი ტოვებს „ურჩ" გლეხებს უყურადღებოთ. ისინიც ხშირ-ხშირათ წარმოუდგენენ ხოლმე საზოგადოებას სხვა და სხვა კანცელიარიის ხარჯებს. არ გეგონოთ მკითხველო, ვითომ ესენი ანგარიშს არ აძლევდენ საზოგადოებას?! როგორ არა! ბოქაულთან ვიყავითო, მაზრის უფროსთან ვიყავითო და სხვ. მაგრამ „ბოროტი ენები" მაინც ამბობენ, მექრთამეობა და „პადლოგობაც" შემოიღესო... ამის რა მოგახსენოთ და ის კი მართალია, რომ ისე პასპორტს ვერ ეღირსებით, თუ „ჯიბის ფული" არ მიართვი...

ორიოდე სიტყვა აქაურ აფთიაქზედაც! წამლების სიძვირე, სიძველე და უსუფთაობა, აი, მთავარი დამახასიათებელი თვისებები ჩვენი აფთიაქისა! ასეთია მკითხველო, ნიგოითელი გლეხების მდგომარეობა და არა მგონია, ეს შესაშური მდგომარეობა იყოს. ღელო.

**სოფ. საგარეჯო.** 20 აგვისტოს 1907 წელს, საგარეჯოს საზოგადოებამ დაადგინა განჩინება ორ-კლასიან სასწავლებელში სწავლის განახლების შესახებ, ორი მასწავლებლის მაგივრათ მოიწვია სამი, და სკოლის შენახვის ხარჯათ საზოგადოებამ იკისრა განჩინების ძალით 1520 მანეთი. სწავლა 1906—7 წლების სამოსწავლო ხნის განმავლობაშიაც წარმოებდა, მოსწავლეთა რიცხვი აღემატებოდა 270 სულს, თუმცა განჩინება დამტკიცებული არ იყო სამოსწავლო მთავრობის მიერ. დაუმტკიცებლობის მიზეზათ სკოლების დირექტორი ასახელებდა მე 8 მუხლს, სადაც სწერია: „ადგილობრივ სკოლის გამგეობას შეადგენენ მზრუნველები, არჩეულნი ხალხის მიერ, რომელთა ხელში იქნება როგორც სწავლის კონტროლი, აგრეთვე სკოლის მა-

ტერიალური მხარე". ამ მუხლში დირექტორი ხედავდა „ავტონომიას", რომელსაც არ დაეთანხმა და არც პრიგოვორი დაამტკიცა. ამ მდგომარეობაში იყო სკოლა, თუმცა სწავლა სწარმოებდა. წელს ადმინისტრაციამ წინადადება მისცა მას წავლებელთ სწავლა არ დაეწყოთ, ვიდრე ნებადართული არ იქნებოდა ეს. ხალხმა ხელმეორე განჩინება დაადგინა გასულ 12 სექტემბერს და გაგზავნა დასამტკიცებლათ. დარჩა ისევ ის მუხლები, როგორიც იყო ძველ განჩინებაში. ბევრი წვალების და პირადი მოლაპარაკების შემდეგ სათანადო მთავრობამ ნება დართო სწავლის განახლებაზე 10 ოქტომბერს. ამგვარათ, ძლეულ იქნა ამ საქმეში ბიუროკრატიის ჯიუტობა, მაგრამ ბ-ნი საგარეჯოს მამასახლისი კი ჯერ ვერ სძლია ხალხის მრავალ გზის გადაწყვეტილებამ, რომ სკოლას ყოველი მხრით ხელი შეეწყო. მასწავლებლებს სტანჯავდა ფულის მიუცემლობით, თუმცა ფული კასაში ყოველთვის მოეპოებოდა. ერთი წლის განმავლობაში, რაც სკოლა არსებობდა, ხალხმა მოახდინა ყრილობა სკოლის გულისთვის 10-ჯერ, რომელიც ჩანს მზრუნველების მიერ შედგენილ პროტოკოლებში. ხალხი ეუბნებოდა: „მიეცი ჯამაგირები, უგდე ყური, სკოლა არ დაიბრკოლო" და სხვა, მაგრამ მაინც არ უნდოდა. რათა? ეს აშკარა იყო ხალხისთვის. დამტკიცდა თუ არა პრიგოვორი, შეიკრიბნენ მზრუნველები მოსალაპარაკებლათ, თუ როგორ მოეწყოთ სკოლის მატერიალური მხარე. შეეკითხნენ მამასახლისს, რომელმაც ცივი უარი განაცხადა: „მე უხალხოთ არა ვიცი რაო". თუ რათ ეკიდება მამასახლისი სკოლას ასე გულგრილათ, ეს აშკარაა ხალხისათვის და თავის დროზე პასუხს მოსთხოვენ მას. განსაკუთრებით ამ რეაქციის დროს ყველა მამასახლისებმა თავში აიწიეს და ხალხის ინტერესები გვერდზე მიდეს. საგარეჯოს მამასახლისი თუ სკოლას მტრობს, მაგიერათ გიორგი წმიდის მამასახლისი ხალხს სცემს ჯოხით და მათრახებით. მაგ. უცემია ალექსი არავიაშვილისთვის მისი ძმებითურთ სრულიად უდანაშაულოთ. ს. პატარძეულის საზოგადოებასაც უნდა სწავლის განახლება სკოლაში, მაგრამ მამასახლისი ხელს უშლის. კვლავინდებურათ, მალულათ აკეთებენ საქმეებს, არ ახედებენ ხალხს ანგარიშებში, შინაურ საქმეებში, ქრთამების აღებაში ხომ ისევ ძველებური მადა გაეღვიძათ, დროა ჩვენი მამასახლისები გონს მოვიდნენ.

მეთვალყურე.

## „ისარის" ქუთათურ კორესპონდენტს
(წერილი ქუთაისიდან)

12 ოქტომბერს „ისრის" 223 №-ში ქუთაისის ქრონიკაში აღნიშნულია სხვათა შორის 8 ოქტომბრის ქალაქის საბჭოს სხდომის ამბები. ერთი ნაწილი ამ ამბებისა შეეხება ქალაქის აფთიაქში მოსამსახურე შეგირდ ფარმაცევტებს, რომელთაც მექრონიკე სოციალისტებს უწოდებს და ამ სიტყვებს ფრჩხილებში სვამს. უეჭველია, ამით მას სურს გააგებინოს მკითხველს, თუ რა სინიდისის, რა პატიოსნების პატრონები არიან ეს „ვაჟბატონები". კორესპონდენტი ძალიან გულით ცდილობს, რომ როგორმე სახელი გაუტეხოს ქალაქის აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტებს, „რომელთა მოთხოვნებს ხმოსნები ამ უკანასკნელ ხანებში დემონსტრატიულათ უარყოფენ". ამ ამბებს ბ-ნი კორესპონდენტი ისეთნაირათ გადმოგვცემს, რომ ეტყობა ყველაფერი ეს მასაც ახარებს.

რაკი ხმოსნების წყალობით საქმე ასე უკუღმართათ დაგვირგვინდა, კორესპონდენტი იმის მაგიერ, რომ სიმართლე დაეცვა, გაზეთის საშუალებით ცეცხლზე ნავთს ასხამს და ქვეყანას ამცნობს, რომ ქალაქის აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტები იმდენათ ზნე დაცემული ყოფილან, რომ „აფთიაქის მოსწავლის ადგილები უ ყ ი დ ი ა თ ო (კურსივი „ისრის" მეჩვრისაა), თავიანთ წინამოადგილეთათვის ორას-ორასი მანეთი მიუციათ და სამაგიეროთ ვექსილები მიუღიათ"-ო და შემდეგ დაცინვის კილოთი განაგრძობს: „ჩვენ არ ვიცით ვინაობა იმ ვაჟბატონებისა, რომელთაც ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა გ ნ ა თ გ ა ხ ა დ ე ს თავიანთი ადგილები აფთიაქში. (აქ კი ხაზს ჩვენ ვუსვამთ) არ გაგვიკვირდება თუ ისინი აღმოჩნდებიან ახალი ჯურის „სოციალისტები". ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ მათ განუცხადებიათ—ჩვენს მაგივრათ ქალაქის აფთიაქში ორგანიზაციის კაცები ჩავაყენეთო—ცხადია, „ისრის" კორესპონდენტს გადაცა მოუთმია რვა ოქტომბრის საბჭოს კრების ამბებს და იმასაც, რაკი „ორგანიზაცია" გაუგონია, წარმოუდგენია: ეს სწორეთ სოციალდემოკრატები იქნებოდნენო და ტენდენციურათ მეგობრის გადმონაკემი ტენდენციურათვე შეუზავებია და ამნაირათ, ქუთათურ სოციალდემოკრატებისათვის დეფექტში ჩაუწერია ქალაქის აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტების ძველი, თუ ახალი მოქმედება... მაგრამ საქმე არც აგრე გახლავთ, პატივცემულო კორესპონდენტო! საქმე აი როგორ იყო ნამდვილათ: ერთ დროს გვარიანათ მოლიბერალო, ხოლო დღეს რეაქციით თავ-გასული საგუბერნიო ექიმ სერგეენკოს თავს აბეზრებდნენ სხვადასხვა პირები აფთიაქში ადგილები გვიშოვეთ. რასაკვირველია, აქ გასამჯელოზედაც იქნებოდა ლაპარაკი. მას ამავე დროს უსახელო მუქარის წერილებიც მისვლია ამავე საქმის გამო. ისიც ამდგარა არც უცებია, არც უცხლებია და შეუგროვებია მეაფთიაქეები და წინადადება მიუცია—სამი წლის ნამსახური შეგირდები დაითხოვეთ, ადგილები გაანთავისუფლეთ და სხვები დაიჭირეთო, კანდიდატები მრავალია თავი მომაბეზრესო. ზოგი მეაფთიაქე ამაზე კიდეც ეურჩა, ამის შესრულება უფლად შეუძლებელიაო და ზოგი კი მაშინვე შეუდგა „აფთიაქის გაწმენდას". პირველობა ამაში ხვდა ქალაქის აფთიაქს, რომლისკენაც ყველაზე მეტათ იყო მიმართული ეს მოხერხებული მოთხოვნილება, რადგან აქ ვითომ ბუდობდა ის „რევოლიუციონური სული", რომელსაც ამ ორი წლის წინეთ ნებით თუ უნებლიეთ ყველა ეარშიყებოდა და რომელიც, „ისრის" მეჩვრის სიტყვით, ასე შეუძლებია საბჭოს ხმოსნებსაც. ქალაქის გამგეობასაც ექიმ სერგეენკოს განკარგულება პირწმინდათ შეასრულა: წინადადება მისცა თავის ხუთ მოსამსახურე შეგირდებს—მიბრძანდით, რადგან ასეთია სურვილი საგუბერნიო მთხელისო. ფარმაცევტებსაც მეტი რაღა დაგვრჩენოდა, დავემორჩილეთ ორივე ხაზეინის სურვილს, რადგან კერძოთ იმასაც ყური მოვკარით, თუ როგორი საშუალებით გვემუქრებოდა ძალის მქონე ექიმი. ამიტომ, რაკი აქ უადგილოთ დავრჩით და სახსარიც არ მოგვეძებოდა სწავლის გასაგრძობათ, ამხანაგებმა მოლაპარაკების შემდეგ დაადგინეს, რომ ის ფულები, რომლის დახარჯვას აპირებდა ზოგიერთი ჩვენგანი ადგილის საშოვნელათ (ვინც შეაჩვია ამ უზნეობას ახალგაზდები, ამას მკითხველი უჩვენოთაც წარმოიდგენს), ეს ფულები ჩვენ ახალ ამხანაგებს მოეცათ სესხათ ჩვენთვის. ამ სესხს თუ ვერ გადავიხდიდით ახლო მომავალში, ჩვენი უფროსი ამხანაგები კისრულობდნენ იმის გადახდას. ამაზე ისინიც დათანხმდნენ და რომ უფრო უზრუნველ გვეყო, ვექსილებსაც შევპირდით. გარდა ამისა, რაკი ჩვენდა უნებურათ დაგვითხოვეს, ჩვენ ქალაქის გამგეობაშიაც შევიტანეთ თხოვნა და მათგანაც ვითხოვდით ერთდროულ დახმარებას 100 მან. ამათგან დახმარება მით უფრო გვეკუთვნოდა, რომ სამსახურიდან ჩვენი მიზეზით არ ვიყავით დათხოვნილი და დღეს ხომ უბრალო ნოქრებიც კი იღებენ 2—3 თვისას, როცა იმათ მათ და უნებურათ ითხოვენ. ამასთან ჩვენ ისიც გვქონდა გადაწყვეტილი, რომ თუ ქალაქი მოგვცემდა რასაც ვითხოვდით, მაშინ აღარ დავივალებდით იმ ფულს ამხანაგ შეგირდებისაგან. აი მოკლეთ, როგორ იყო საქმე, რომელსაც თქვენ, კორესპონდენტო, ასე ტენდენციურათ და ურცხვათ მოგვითხრობთ „ისრის" ფურცლებზე. ამ საქმის გარემოება თქვენს გარდა ყველამ იცოდა; ვინც განგებ კრებაზე თვალები არ დახუჭა. თუ არ პარტიულმა სიძულვილმა, ან კიდევ მეტი კაპეიკების აღების სურვილმა, რამ დაგაწერინათ ასეთი სიცრუე? დასასრულ, ჩვენ, თქვენგან შეურაცხყოფილი ფარმაცევტები, უგვანო ცილის წამებისათვის—გიწვევთ თქვენ ბ. კორესპონდენტო სამედიატორო სამართალში, რომ კიდევ უფრო ნათლათ გამოირკვეს ამ საქმის ვითარება და ისიც, თუ რატომ ანებებს თავს ბ. ნაზაროვი სააფთიაქო კომისიას; როცა თქვენგან ამაზე თანხმობას მივიღებთ, მაშინ ჩვენის მხრით მოსამართლეებსაც დავასახელებთ.

უდანაშაულოთ შეურაცხყოფილი ფარმაცევტები.

# მუშათა შორის

**ლითონზე მომუშავეთა საყურადღებოთ.** იყო დრო, როცა ჩვენ ძარცვა-ყვლეფას საზღვარი არ ქონდა, როცა ყველანი ჩვენზე მალაყს გადადიოდნენ და ჩვენც მძიმე შრომის უღელს ხმა ამოუღებლივ ვიტანდით, მაგრამ პირობები იცვალა: აუტანელმა ცხოვრების პირობებმა დაბადა დიადი მუშათა მოძრაობა. ის, რაც გუშინ გულს გვიწყლულებდა დღეს ქრება, თუ წინეთ პირუტყვ თ გვთვლიდნენ და გვიცქეროდნენ, როგორც მარტო სამუშაო ძალას,—დღეს აშკარათ ხედვენ ჩვენში შეგნებულ ელემენტებს და ახალი ცხოვრებისათვის ამოძრავებულ ძალას. დიახ, წინანდელ ქედმოხრილობას თავი დავაღწიეთ და გამოვედით ბრძოლის ველზე; წინანდელი კრული და წყეული დრო, რომლის გაგონებაზე ყველა ჩვენგანს ტანში ჟრუანტელი დაუვლის, თანდათან ქრება. და ყველა ეს ნაყოფია მუშათა შეგნების და შეგნებულათ მოძრაობისა.

მაგრამ ამავე დროს არც ჩვენ მოწინაამდეგეებს სძინავთ.

ისინიც თავს იყრიან ერთ ბანაკში, კავშირდებიან, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ჩვენზე იერიშით მოეშურებიან, რომ დაანგრიონ ჩვენი ერთობა, ჩვენი სოლიდარობა, ჩვენი კავშირი და დაგვიბრუნონ წინანდელი ჩვენთვის წყეული და მათთვის სანეტარო დრო, რომ წაგვართვან ის სისხლითა და ოფლით მოპოვებული უფლებები, რომლისთვისაც სამსხვერპლოზე არა ერთი და ორი თავგანწირული ამხანაგი შეწირულა.

რას უნდა ვშვრებოდეთ ჩვენ ამ პირობებში? პასუხი ერთია: ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ ძალას—ძალა, უნდა მზათ ვიყოთ და არა თუ ის მოგებული უფლებები დავკარგოთ, არამედ მეტიც ჩამოვართვათ ჩვენ მჩაგვრელებს. და ყველა ამისთვის კი საჭიროა ერთგული და ერთსული მოქმედება, შეკავშირება, შეერთება თანახმათ ჩვენი დიდებული მოძღვრის სიტყვებისა. ამისათვის არის საჭირო ჩვენთვის პროფესიონალურ კავშირებში თავის მოყრა და აქედან ბრძოლა გაუმაძღარ კლასებთან. პროფესიონალური კავშირი,—ეს ერთი ხელობის მომუშავეთა კავშირია, მიუხედავათ მათი პოლიტიკური რწმენისა. აქ თავმოყრილია ყველა რწმენის, სარწმუნოების, ეროვნების და სქესის მუშები ჩვენი ვალია, რომ ამ კავშირების საშუალებით მუშათა ბრძოლა უფრო გავაღრმავოთ, უფრო გარკვეული გზა მივცეთ შრომასა და კაპიტალს შორის ატეხილ ბრძოლას.

ამ წერილში მინდა უმთავრესათ შევეხო თფილისში ლითონზე მომუშავეთ და ყოველივე ის, რაც ზევით ვთქვი უმთავრესათ მათკენაა მიმართული. ჯერ კიდევ, ჩვენ ლითონზე მომუშავეთ არ გვაქვს პროფესიონალური კავშირი. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა პროფესიის მუშები კავშირდებიან, ვხედავთ, რომ პროფესიონალური მოძრაობა წინ მიდის სწრაფი ნაბიჯით. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენთვისაც აუცილებლათ საჭიროა ასეთი კავშირი და აი ამ დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ლოკაუტის აჩრდილი თვალ-წინ გვიდგას, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენგან ბრძოლით მოპოვებული უფლებები დღითი-დღე ხელიდან გვეცლება და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა თანდათან ძველ კალაპოტს უბრუნდება; მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ხაზეინები თანდათან უმატებენ უდიერობას ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი გაჰჩერებულვართ, თითქო რაღაც სასწაულს ველოდეთ, თითქოს ვინმეს შველას ვუყურებდათ.

დიახ, ჩვენთვის აუცილებელია პროფესიონალურ კავშირში თავის მოყრა. ამ კავშირს სახელათ ერქმევა ლითონზე (по металлу) მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი. თფილისში რამდენიმე სამექანიკო, თუჯის და სპილენძის ჩამოსასხმელი ქარხნები. ყველა აქ მომუშავეებს შეგვიძლია ერთი კარგი მოზრდილი კავშირის დაარსება. ლითონზე მომუშავეთა კავშირები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ერთ უძლიერეს კავშირებს წარმოადგენენ და ჩვენ არც კი ვცდილობთ, რომ საძირკველი მაინც ჩავუყაროთ მას. კითხვა ამ კავშირის დაარსების შესახებ აღძრული იყო რამდენიმე ხნის წინეთ მოწინავე მუშებში, მაგრამ კითხვათ დარჩა და კავშირი ჯერაც არ გვაქვს.

საჭიროა, ამ საქმეს მოწინავე მუშებმა მოჰკიდონ ხელი და დააგვირგვინონ წესისამებრ, რაშიაც, იმედია, თფილისის პროფ. კავშ. ცენტრალური ბიუროც დახმარებას გაუწევს.

ამხანაგებო, დროა, ჩვენც შევკავშირდეთ და ისე შევებრძოლოთ მტრებს; დროა, ჩვენც შევადგინოთ უპარტიო პროფესიონალური კავშირი.

მუშა არჩილა.

**თფილისის საქონლის სადგური.** 8 ოქტომბერს დელეგატთა კრებამ მუშკედე საწყობიდან ქურდობისთვის დაითხოვა ცხრა კაცი, რომლებსაც მუშები აბრალებდნენ ორი თოფი ჩითის მოპარვას. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მინდობილი აქვს ხაზეინს და მას ნოქრებს, როცა მუშები გამოიკვლევენ მათ მოქმედებას და დამნაშავეთ იცნობენ. მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ის დათხოვნილი პირები ისევ განაგრძობენ მუშაობას საწყობებში. ეს გახლავთ შედეგი შენჩემობის და ნათლიმამობის, რაც დიდათ ხელს უშლის მოწინავე ამხანაგებს, რომ ზოგიერთების გამათახსირებელ მოქმედებას დაგამი ამოდონ.

17 ამ თვეს იმავე კრებამ მსჯელობა იქონია იმ მუშებზე, რომლებიც საქონლის მიმდებთ საწყობში ფულს ახდევინებენ მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი კასშიაც იხდიან ფულს. კრებამ დაადგინა: საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ყველა საქონლის საწყობებში გამოკრულ იქნას სამ ენაზე დაბეჭდილი ნიხრი საქონლის მიღებისა, რომ ამათ საქონლის მიმღებთ თავიდან აშორონ ორჯერ ფულის გადახდა. ეს გადასახადი საქონლის მიმღებმა უნდა გადაიხადოს კასაში, რისთვისაც კვიტანციას მიიღებს.

გირგოლაძე

## პარტიების ცხოვრებიდან

**პოლონეთის ცენტრალ. საარჩევნო კომიტეტმა** 9 ოქტომბრის კრებაზე დაადგინა, რომ პროგრესიულ ამომრჩევლების მიზანი უნდა იყოს მემარჯვენეებთან ბრძოლა და ოპოზიციის მხარის დაჭერა. რადგან ოპოზიციონური პარტიები: ხალხის თავისუფლების, სახალხო ბლოკი, ს-დემოკრატები და უპარტიო მემარცხნე განცალკევებით მოქმედებენ, კომიტეტის აზრით ყველაზე მეტი შანსები სახალხო თავისუფლების პარტიას აქვს. ამიტომ დაადგინა, ხმები მილიუკოვს, როდიჩევს და კოლიუბაკინს მისცენ.

17 **ოქტომბრის კავშირის** ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინ, არ მოიწვიონ პარტიული სიეზდი, ხოლო დუმის გახსნის წინათ მოახდინონ თათბირი პეტერბურგში დუმაში მოქმედების ტაქტიკის გამოსარკვევათ.

# რუსეთის ამბები

**სოც. დემ. ფრაქციის საქმე,** რომელის გარჩევა განზრახული იყო სენატში 20 ოქტომბრისათვის, როგორც იუწყებიან, გადადებულია შემდეგისათვის, როდისთვის სახელდობრ, არავინ იცის. როგორც იმის, მოსალოდნელია, ფრაქციის დატუსაღებული წევრნი განთავისუფლებულ იქნენ თავდებ-ქვეშ.

**კამარილას აზრი მესამე დუმის შესახებ.** თუმცა სააგენტოს დეპეშების ცნობებით საბოლოოთ გამოირკვა, რომ მესამე დუმა ოქტომბრისტული იქნება, მაგრამ კამარილა, რომელიც მეორე დუმის დროს აწარმოებდა შინაურ პოლიტიკას, ეჭვის თვალით უყურებს სააგენტოს ცნობებს. კამარილია იმ აზრის არის, რომ მესამე დუმა, როგორც პირველი და მეორე, „უვარგისი გამოდგება" და „საქმეს ვერ გააკეთებს", ამიტომ უმჯობესი იქნება შეცვლილ იქნას სახელმწიფო დუმის სახე, წაერთვას კანონმდებლობითი უფლებები, დაეხლანდელ დუმის მაგიერ მოწვეულ იქნას „ზემსკი სობორი" სათათბირო უფლებით. ამათგან უკიდურესნი იმ აზრის არიან, რომ ჯერ სანამ არ შეკრებილან, ეხლავე დათხოვნილ იქნას მესამე დუმაც. კამარილას წინააღმდეგია თვით სტოლიპინი, რომელსაც იმედი აქვს, რომ მესამე დუმას შეეძლება კაბინეტთან შეთანხმებით მუშაობა.

**მთავრობის კანონ-პროექტები.** მოახლოვდა თუ არა მესამე დუმის გახსნის დღე, მთავრობა გაცხარებული შეუდგა თავის კანონ-პროექტების შედგენას მესამე დუმაში წარსადგენათ. ჯერ, სანამ მესამე დუმის ფიზიონომია გამორკვეული არ იყო, მთავრობა თავს არ იცხელებდა კანონ-პროექტების შედგენით, ხოლო ეხლა, როცა გამოირკვა, უცბათ შეუდგენ საქმეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე ათავებს ადგილობრივ რეფორმების შესახებ კანონ-პროექტს. 1908 წ. ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტის შედგენას და განხილვას ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაასრულებენ. როგორც სარწმუნო პირები ამბობენ, ამ წლის დეფიციტი წინანდელზე ცოტაა.

**მინისტრების გადადგომა.** როგორც დანამდვილებით იტყობინებიან, ახლო მომავალში სამსახურიდან უნდა გადადგნენ საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი და სავაჭრო-სამრეწველო—ფილოსოფოვი. მათი გადადგომის მიზეზი სიბნელით არის მოცული.

**ახალი პარტია.** საბოლოოთ გამოირკვა, რომ ოქტომბრისტთა პარტია ორათ გაიყო. მემარცხენე ოქტომბრისტები ახალ პარტიას ადგენენ ამ სახელით: „სახალხო კონსტიტუციონური პარტია". ახალ პარტიას „მშვიდობიან განახლების" პარტიასთან და შიპოვთან მოლაპარაკება აქვს. ეს პარტია კადეტებსა და ოქტომბრისტებს შუა დაიჭერს ალაგს. პარტია მეტ ყურადღებას აქცევს ნაციონალურ კითხვას.

**საიდუმლო პოლიცია.** პოლიციის დეპარტამენტში შედგა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი რუსეთის ყველა ქალაქებში საიდუმლო პოლიციის განყოფილებების დაარსების შესახებ. პირველ კრებაზე კომისიამ დაადგინა, შეეკითხონ ადგილობრივ მთავრობებს ადგილობრივ ჯაშუშ-პოლიციელების მოღვაწეობის შესახებ. პასუხის მიღების შემდეგ შეუდგებიან გეგმის შედგენას.

**კონტრაბანდის დაჭერა.** ამ რამდენიმე დღის წინათ ფინლიანდიის რკინის გზის სადგურ ბელოოსტროვზე პოლიციამ დაიჭირა კონტრაბანდა, რომელშიაც აღმოჩნდა არალეგალური გამოცემები და იარაღები. თუმცა სასტიკი ზომები მიიღეს, მაგრამ კონტრაბანდისტებმა მაინც მოასწრეს გაქცევა და დამალვა. ეჭვით დაატუსაღეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ორი ფინლიანდიელი და ერთი რუსი, გვარათ ბაუნინი.

**სახელმწიფო საბჭოს სხდომა.** სახელმწიფო საბჭოს სხდომა კანიკულების შემდეგ პირველათ მოხდა 18 ოქტომბერს.

**კონფლიქტი ავსტრიის საელჩოსთან.** ამ დღეებში რუსეთის მთავრობას კონფლიქტი მოუვიდა ავსტრიის ელჩთან. საქმე შეეხება შემდეგს: ამ ზაფხულ ავსტრიის მთავრობამ დაატუსაღა რუსი ექსპროპრიატორი და რუსეთის მთავრობას გადასცა იმ პირობით რომ დამნაშავეს სამოქალაქო სამართლით გაასამართლებდნენ. მიუხედავათ ამ პირობისა რუსეთის მთავრობამ დამნაშავე სამხედრო სამართალში მისცა და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. შეკითხვაზე შჩეგლოვიტოვმა მით გაიმართლა თავი, რომ ასეთი ბრძანება მე არ გამიციაო, სტოლიპინმა კი „ეს სამწუხარო ნედორაზუმენიე არისო". ელჩი ამით არ დაკმაყოფილდა და თავის მთავრობას აცნობა ეს ამბავი დამნაშავე ჯერ არ დაუსჯიათ.

**„კრესტის" სატუსაღოს უფროსის თანაშემწის მოკვლის განზრახვა.** 13 ოქტომბერს არსენალნი ქუჩაზე „კრესტის" სატუსაღოს უფროსის თანაშემწე მაჰმედალი-ბეკს თავს დაესხნენ ექვსი უცნობი და რევოლვერები დაუშინეს. მაჰმედალი-ბეკმა ყვირილი მორთო. მსროლელნი გაიქცნენ. ალი-ბეკი რაღაც მანქანებით უვნებლათ გადარჩა.

**მოხერხებული ებრაელი.** შავრაზმელების ნავარდს ოდესის ქუჩებზე დასასრული არ აქვს. ამ დღეებში ერთ ებრაელს თავს დასხმია რამდენიმე მათგანი გიმნაზისტების ფორმაში. ერთ მათგანს ჯოხი დაურტყამს ებრაელისთვის და ქუდი გადაუგდია. ებრაელს დაუნახავს, რომ საქმე ცუდათ იყო და შემდეგი ხრიკი უხმარია: ხელათ გაუხსნია პიჯაკი და დაუყვირია: „დამარტყით! მე იაპონიელებთან ომში ვიყავი და შიში არ მიგრძვნია... თქვენ მე ვერ შემაშინებთ. მოკალით კაცი, რომელმაც სამშობლოსათვის თავი დასდო". ამ სიტყვებზე შავრაზმელები შედრკნენ და გაიქცნენ. ერთმა მათგანმა აიღო ქუდი და მიაწოდა ამ სიტყვებით: „რატომ არ ატარებთ, ყმაწვილო, სამხედრო ნიშანს, შეცდომაში შეგვიყვანე პატიოსანი ხალხი. ჩვენ მაშინ ხელს აღარ გახლებდით". მოხერხებული ებრაელი გადარჩა თავპირის დამტვრევას და, იქნებ, სიკვდილსაც.

# წესდება
**თფილისის თორნის პურის მცხობელ მუშათა პროფესიონალური კავშირისა.**

**1. კავშირის მიზანი.**

§ 1. კავშირს მიზნათ აქვს: ა) შეაერთოს თფილისის თორნის პურის მცხობელი მუშები მათი კლასობრივი ინტე-

რესების დასაცველათ, ბ) გააუმჯობესოს თითოეული წევრის შრომის პირობები და გ) ხელი შეუწყოს მათ კლასობრივ თვითცნობიერების განვითარებას.

## 2. კავშირის მოქმედება.

§ 2. ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი ღებულობს სხვადასხვა საშუალებას: ა) აწესრიგებს სამუშაო ქირას, ბ) საზღვრავს სამუშაო დროს, გ) აარსებს მომრიგებელ კომისიას ხაზეინებს და მუშებ შორის სადაო კითხვების გადასაწყვეტათ, დ) ახდენს ხელშეკრულობას, ე) აძლევს ფულით დახმარებას თავის წევრებს გაფიცვის, უმუშევრობის და ავათმყოფობის დროს, ვ) უჩენს თავის წევრებს და მათ ოჯახობას უფასო იურიდიულ და საექიმო დახმარებას, ზ) ხელს უწყობს წევრებს სამუშაოს შოვნაში, რისთვისაც აარსებს სპეციალურ ბიუროს, ჱ) იძენს საკუთრებათ უძრავ და მოძრავ ქონებას, თ) მართავს სამკით ხველო-ბიბლიოთეკას, ი) აწყობს ლექციებს და კრებებს, კ) გამოსცემს შეძლებისა დაგვარათ თავის გაზეთს, ლ) მართავს წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვა ამ გვარ გასართობებს, მ) ხსნის სალამოს, ან საკვირაო სკოლებს, ნ) თავის ხარჯით ასაფლავებს ისეთ წევრებს, რომლებსაც ამისათვის არა დარჩენიათ რა და მატერიალურ დახმარებას აძლევს მათ ოჯახობას.

## 3. კავშირის შედგენილობა.

§ 3. კავშირის წევრათ შეუძლია იყვეს ქ. თფილისის ყველა თორნის პურის მცხობელი მუშა, განურჩევლათ პოლიტიკურ რწმენისა, სარწმუნოებისა, წოდებისა და ეროვნებისა, თუ კი ის ემორჩილება ამ წესდებას და წლოვანებით არა ნაკლები თექვსმეტი წლისაა. კავშირის წევრი ზნეობრივათ ფაქიზი უნდა იყოს.

შენიშვნა 1. კავშირის წევრათ არ შეიძლება იყოს ხაზეინი და ყველა ის, ვინც ადმინისტრატიულ ფუნქციას ასრულებს და ან ხაზეინთან ერთათ დაინტერესებულია მოგებაში, მაგალითათ: გამგეები, დახლიდრები და სხვა.

შენიშვნა 2. ის მუშები, რომელნიც კავშირის მიერ დაწესებულ ქირაზე ნაკლებს დასჯერდებიან, ან განსაზღვრულ დროზე მეტს იმუშავებენ, ან გაფიცულ ამხანაგების ადგილს დაიჭერენ, კავშირის წევრებათ არ მიიღებიან.

§ 4. კავშირის ახალ წევრებს იღებს ძირითადი ორგანიზაციები და ამტკიცებს კავშირის საბჭო.

§ 5. კავშირის წევრი ვალდებულია გადაიხადოს ერთდროული საწევრო ფული ერთი მანეთი და ყოველთვიური საწევრო გადასახადი ჯამაგირის $2^1/_2$ %.

§ 6. ყოველი კავშირის წევრი მოვალეა დაემორჩილოს, როგორც ძირითად ორგანიზაციების უმეტესობის გადაწყვეტილებას, ისე კავშირის საბჭოს დადგენილებას, მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები და საერთოთ, იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს კავშირის ინტერესები.

§ 7. კავშირიდან ირიცხება ყველა ის პირი, რომელიც სამი თვის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო გადასახადს შეუწყნარებელ მიზეზებისა გამო, აგრეთვე ისეთები, რომელნიც თავის მოქმედებით ჩირქს ცხებენ კავშირს. წევრის გამორიცხვის უფლება აქვს მთელ კავშირს. გამორიცხვა ხდება უბრალო ხმის უმეტესობით.

შენიშვნა. კავშირიდან გამორიცხულს, ან თავის სურვილით გამოსულს არ უბრუნდება გადახდილი ფული.

§ 8. კავშირის თითოეულ წევრს შეუძლია განცხადება შეიტანოს: ა) ძირითად ორგანიზაციაში, ბ) საბჭოში და გ) საზოგადო კრებაზე. საზოგადო კრებაზე განცხადება შემოიტანება საბჭოს საშუალებით.

## კავშირის საშუალებები.

§ 9. კავშირის საშუალებებს შეადგენენ: ა) წევრათ ჩარიცხვის დროს ერთდროული გადასახადი, ბ) ყოველთვიური საწევრო გადასახადი, გ) შემოსავალი ლექციებიდან, წარმოდგენებიდან და სხვა ამგვარ გასართობებიდან, დ) შემოწირულებანი და ე) ანდერძები.

§ 10. კავშირის თანხა განაწილებულია: სათადარიგო და საწარმოვო თანხებათ: ა) სათადარიგო თანხაში ირიცხება ყოველგვარი შემოსავალის 40 პროც. და ბ) საწარმოვო თანხაში რჩება 60 პროცენტი, რომელიც ხმარდება ყოველდღიურ კავშირის საქმეებს.

შენიშვნა. სათადარიგო თანხა შეიძლება დაიხარჯოს თანხმათ ძირითად ორგანიზაციების გადაწყვეტილებისა: გაფიცვების, ლოკაუტის და განსაკუთრებულ გაჭირვების დროს, ისიც არსებულ თანხის არა უმეტეს 50 პროცენტისა.

## 4 საქმეების წარმოება

§ 11. კავშირის საქმეებს განაგებენ: ა) საბჭო, ბ) ძირითადი ორგანიზაცია, გ) სარევიზიო კომისია და დ) საზოგადო კრება.

### ა) საბჭო

§ 12. კავშირს ხელმძღვანელობს საბჭო. საბჭო შესდგება ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

§ 13. საბჭო ხელმძღვანელობს მთელი კავშირის საქმეებს: ეწევა კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას, აწესრიგებს და განაგებს უმუშევართა დახმარების საქმეს, როგორც ნივთიერი დახმარებათ, ისე ორგანიზაციულათ მოწყობის მხრივ; შეიტანს და უკან მოითხოვს სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან ფულს; კავშირის საქმეების გამო მოლაპარაკებას მართავს, როგორც სხვა კავშირების ორგანიზაციებთან, ისე საზოგადო დაწესებულებებთან და პოლიტიკურ პარტიებთან; აწარმოვებს ანგარიშებს და სარევიზიო კომისიის დამტკიცების შემდეგ უშვებს სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ; თუ რომელიმე მიზეზის გამო სარევიზიო კომისია ანგარიშს არ დაამტკიცებს, საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საზოგადო კრება, ან კავშირის კონფერენცია და გააცნოს მას საქმის გარემოება, რომელიც ღებულობს საჭირო დადგენილებებს და ზომებს; საბჭო განაგებს სამეურნეო და მიმდინარე საქმეებს; იწვევს საზოგადო კრებას და კავშირის კონფერენციას და სისრულეში მოჰყავს მათი დადგენილებები.

§ 14. საბჭო ირჩევა ექვსი თვისვადით.

§ 15. საბჭოს ჩვეულებრივი კრებები იმართება ორ კვირაში ერთხელ. არა ჩვეულებრივ კრებებს იწვევს, ან აღმასრულებელი კომისია, ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედი.

§ 16. ყოველ-დღიურ საქმეების გასაძღოლათ საბჭო ირჩევს აღმასრულებელ კომისიას, რომლის რიცხვს და ფუნქციებს თითონვე საზღვრავს.

§ 17. საბჭო თავის წევრებში ირჩევს შემდეგ პირებს: მომხსენებლებს ძირითად ორგანიზაციებისათვის, ერთ კასირს, ერთ ტეხნიკს, ერთ ლიტერატორს, ერთ სეკრეტარს, ერთ ორგანიზატორს, ერთ ტრანსპორტიორს და სხ...

§ 18. პროპაგანდა-აგიტაციისათვის საბჭო იყოლიებს პროპაგანდისტს, რომელიც მასთან აწარმოვებს ანგარიშებს და საკანცელიარო საქმეებს.

### ბ) ძირითადი ორგანიზაცია.

§ 19. ძირითად ორგანიზაციის წევრთა მინიმუმს შეადგენს 10 წევრი, მაქსიმუმს 20.

§ 20. ძირითადი ორგანიზაცია: ა) იღებს ახალ წევრებს, ბ) არკვევს სხვა და სხვა კითხვებს კავშირის ცხოვრებიდან, გ) ღებულობს დადგენილებებს, დ) ახდენს შეკითხვას, ე) სხვა და სხვა წინადადებას უდგენს საბჭოს და სხვა.

§ 21. ძირითად ორგანიზაციის წევრებმა თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ ერთი წარმომადგენელი საბჭოში და ერთი ორგანიზატორი.

**შენიშვნა:** წარმომადგენლის მოვალეობაა: ა) გადაიტანოს საბჭოში ძირითადი ორგანიზაციის საკითხები და საბჭოდან გადმოიტანოს საკითხები ძირითად ორგანიზაციაში, ბ) შეკრიბოს თავის ამომრჩევლების ფული და გადასცეს საბჭოს კასირს, გ) მიაწოდოს წევრებს ლიტერატურა და სხვა...

§ 22. ძირითადი ორგანიზაცია იკრიბება კვირაში ერთხელ.

### გ) სარევიზიო კომისია.

§ 23. სარევიზიო კომისია შესდგება ხუთი კაცისაგან. სარევიზიო კომისიის წევრებს ირჩევს კავშირის კონფერენცია, ან საზოგადო კრება. სარევიზიო კომისია: ა) თვალყურს ადევნებს ანგარიშებს და ხარჯების წარმოებას, ბ) ახდენს ანგარიშების ყოველ-თვიურ რევიზიას, გ) თვალ-ყურს ადევნებს, კავშირის ყოველგვარ უძრავ და მოძრავ ქონებას, დ) ვალდებულია მოიწვიოს კავშირის კონფერენცია ან საზოგადო კრება, თუ ანგარიშების წარმოებაში აღმოაჩინეს ბოროტ მოქმედება და აცნოს მათ საქმის გარემოება.

§ 24. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ საბჭოს წევრებიც.

### საზოგადო კრება.

§ 25. საზოგადო კრება ორნაირია: ჩვეულებრივი, რომელსაც იწვევს საბჭო წელიწადში ერთხელ და საგანგებო, რომელსაც იწვევს საბჭო ისეთ საქმეების გადასაწყვეტათ, რომელნიც გადადებას არ ითმენენ და რომლების გარჩევა მის უფლებას აღემატება, აგრეთვე სარევიზიო კომისიის განცხადებით, ან ყველა წევრების ერთი მეათედის მოთხოვნით.

§ 26. საზოგადო კრების მოწვევის დრო და აგრეთვე ის საკითხები, რომელნიც საზოგადო კრებამ უნდა გაარჩიოს ადრე ეცნობება კავშირის წევრებს.

§ 27. საზოგადო კრება კანონიერია, თუ მას კავშირის ყველა წევრების ნახევარი დაესწრება.

§ 28. თუ საკმაო წევრების მოუსვლელობის გამო საზოგადო კრება ვერ შესდგა, მაშინ საზოგადო კრება ხელახლა ინიშნება და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც კანონიერათ ითვლება.

§ 29. საზოგადო კრებაზე ყველა კითხვები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით და ფარული კენჭის ყრით.

## 6 კავშირის დახურვა.

§ 30. კავშირის დახურვისათვის საჭიროა ორი მესამედის თანხმობა; დახურვისათვის საჭიროა ორი ზედი-ზედ მიმხდარი საზოგადო კრების სურვილი. მასთან, პირველი კრების შემდეგ მეორე კრება უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ორი დღისა.

§ 31. კავშირის დახურვის შემდეგ უძრავ-მოძრავი ქონება მოიხმარება საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმათ.

## რაჟდენ შენგელიას დასაფლავება

მიცვალებული თფილისიდან 12 ოქტომბერს ჩაასვენეს სამტრედიაში, საიდანაც გაასვენეს სოფ. კულაშში. როცა ცხედარი ვაგონიდან გამოასვენეს, დაუკრა სამტრედიის დეპოს მუშების მუსიკამ, და ასე გაატარეს მთელ ბაზარში. გზაზე მიცვალებულს შემოხვდა მოხუცებული მამა, სხვა ნათესავები და ამხანაგები. კულაშში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. პანაშვიდის შემდეგ მოხდა შემდეგი ინციდენტი. თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სახელით ერთმა ყმაწვილმა დაიწყო სიტყვის წარმოთქმა. ორი წუთის შემდეგ ორატორს მივარდა მღვდელი და შესძახა: ნებას არ გაძლევ მაგნაირ ლაპარაკისას, გაჩერდი, თორემ განახვებ ვირის აბანოსო. ორატორი არ ჩერდება. მღვდელი თავისას არ იშლის. ხალხიდან პროტესტი მოისმის მღვდელი ტოვებს ცხედარს და მიდის. შემდეგ ორმა მუშამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვები და მიუძღვნეს გვირგვინი. მიცვალებული წაასვენეს ეკლესიაზე უმღვდლოთ. საფლავზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სამტრედიის რაიონის წარმომადგენელმა, რომელმაც აგრეთვე გვირგვინით შეამკო ცხედარი; დასაფლავების შემდეგ ხალხი დაიშალა სიმღერით. სალამოს სულიერმა მამამ რაჟდენის მოხუცებულს მამას ფული მოსთხოვა.

მგზავრი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გორის მაზრის სოფელ ახალ-ქალაქის საზოგადო სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოთ ჩვენ მივიღეთ ბატ. სანდრო იტრიევისაგან ამხანაგების შემოწირულება ოცდაცხრამეტი მანეთი და ოცდახუთი კაპეიკი (39 მ. 25 კ.) აგრეთვე ოცდაოთხი ქართული წიგნი, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით მათ ხსენებულ შემოწირულებისათვის.

ვთხოვთ საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ღარიბ სამკითხველო-ბიბლიოთეკას. ჩვენი ადრესი: Тифлисъ, Гоголевская ул. № 57, д. Сафарова, Якову Галустову.

გამ. წევრი იაკობ ქულუევი.

სოხუმის ოლქის კვადახარის საზოგადოების მცხოვრები, აფხაზი ვავა ივანეს ძე ხეიცა ანუ ხეიძე ივნისში ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ იქნა ვიატკის გუბერნიაში. ეტაპით მგზავრობის დროს ავათ გამხდარა და ავათმყოფი უმოგზაურია ქ. ვიატკამდე, ჩასვლისათანავე საავათმყოფოში დაუწვენიათ და დღესაც საავათმყოფოში წევს, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია—ჯერ ავათმყოფობით, მერე უქონლობით და უცოდინარობით, პურის სახელიც კი არ იცის რუსულათ. საჭიროა ყურადღება მიაქციონ მშობლებმაც და ნათესავებმაც.

ადრესი: Вятка, Губернская земская больница, ссыльному Вава Хеица, онъ-же Хеидзе.

ჩამოსული.

„ჩვენი გზის“ 24 №-ში მოთავსებულია ბათუმიდან წერილი, სათაურით—„მუშათა შორის“ რომელშიაც ავტორი სხვა და სხვაგვარ მძიმე ბრალს გვდებს ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერთ, ბათუმის რკინის გზის დეპოს „სტარშირაბოჩებს“. რადგან ჩვენ უსაფუძვლოთ შეურაცხყოფილათ მიგვაჩნია ჩვენი თავი, ამის გამო სამედიატორო სამართალში ვიწვევთ წერილის ავტორს, რომ მან დაგვიმტკიცოს იმ საქმეების ჩადენა, რომელსაც გვაბრალებს. ვთხოვთ მას გაზეთის საშუალებით დაგვისახელოს თავისი მედიატორების სახელი და გვარი. ხოლო თუ იგი სამედიატორო სამართალში არ გამოგვყვა, ამით დაამტკიცებს, რომ მან ცილი დაგვწამა. ჩვენი მხრით ვასახელებთ მედიატორებათ: 1. მიხეილ სიმონის ძე ნიკურაძეს, 2. ვასილ ეგნატეს ძე ახობაძეს და 3. მიხეილ გრიგოლის ძე გრიგოლიას. ყველანი ბათუმში არიან.

გიორგი სუსარიშვილი.
პავლე მანჯგალაძე.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

18 ოქტომბერი

### არჩევნები

**პეტერბურგი.** პირველ საარჩევნო კურიაში მიცემულია 2200 ბიულეტენი. საჭირო ხმის უმეტესობა მიიღო 17 ოქტომბრის კავშირისა და საკრედიტო ჯგუფის ბლოკის კანდიდატმა ს. ვ. ბელიაევმა. დანარჩენ კანდიდატებმა, ფონ-ანრეპმა 17 ოქტომბრის კავშირისამ მიიღო—989, კადეტების კანდიდატებმა—სტასიულევიჩმა 871 სებბოტინმა 829, უშაკოვმა—819 ხმა. 17 ოქტომბრის კავშირის კანდიდატმა—დერხემ მიიღო 745, საკრედიტო ჯგუფის—ტარასოვმა 413, იაკუნჩიკოვმა—151, მემარჯვენე ბლოკისამ—დიხაჩევმა 186, გრაფ ბობრინსკიმ—173, ბარანოვმა—172.

**რიგა.** პირველ კურიაში აირჩიეს ერვინ თეოდორეს ძე მორიც, წევრი ბალტიის კონსტიტუციონალურ პარტიისა, 66 წლის, ნაფიცი ვექილი და ხმოსანი ქალაქის თვითმართველობისა. ხმების დათვლა მეორე კურიაში—არ დამთავრებულა.

**ლიუბლინი.** აირჩიეს იოსებ ნაკონეჩნი, ნაროდოვეცი, პოლიაკი 28 წლისა საშუალო განათლების მქონი გლეხი, მიწის მუშა, კატოლიკი, ყოფილი წევრი პირველ დუმისა.

**კალიში.** აირჩიეს ალფონს პარჩევსკი. 57 წლისა ნაფიცი ვექილი, აზნაური, კატოლიკი, წევრი პირველ და მეორე დუმისა.

**სუვალკი.** აირჩიეს ანდრია ან. ბულატი, რომელიც თავის თავს უწოდებს ნაციონალდემოკრატს, წევრი მეორე დუმისა, ტრუდოვიკების მომხრე, 34 წლისა. ნაფიცი ვექილი, გლეხი, კათოლიკე.

**პეტრაკოვი.** აირჩიეს ვლადისლავ ვლად. ჟუკოვსკი, წევრი მეორე დუმისა, 47 წლისა, კატოლიკე სამთო ინჟინერი, მომხრე პოლონეთის კოლოსა.

**კელცი.** აირჩიეს ვიქტორ კრონსკი, 27 წლისა, ნაროდოვეცი, პოლიაკი, კატოლიკი, აზნაური, ნაფიცი ვექილი.

**რადომი.** აირჩიეს იოსებ სვეჟინსკი. წევრი პირველ დუმისა, ნაროდოვეცი, პოლონელი 38 წლისა უმაღლეს სწავლა-მიღებული მემამულე აზნაური, კათოლიკე.

**ვარშავა.** აირჩიეს ვლადისლავ გრაბსკი, მემამულე, უნივერსიტეტ დამთავრებული, ნაროდოვეცი, წევრი პირველ და მეორე დუმისა.

**პლოცკი.** აირჩიეს იპოლიტ იპ. ვონსოვიჩი, აზნაური, პოლიაკი კათოლიკე, ნაროდოვეცი 33 წლისა, მემამულე, გაათავა კრაკოვის უნივერსიტეტი.

**სედლეცი.** აირჩიეს ლიუბომირ ელ. დიმშა, უპარტიო პოლონელი, 47 წლისა პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, აზნაური, კათოლიკე.

**ლომჟა.** დუმის დეპუტატათ აირჩიეს ივ. გარუსევიჩი, ნაროდოვეცი 45 წლისა, უნივერსიტეტ დამთავრებული, წევრი პირველ და მეორე დუმისა, ექიმი.

**ვარშავა.** რუსის მცხოვრებლებმა აირჩიეს ვარშავაში დეპუტატათ—ს[illegible] ალექსეევი, ყოფილი რედაქტორი „ვარშავის დღიურ ბისა“, მასწავლებელი [illegible] 17 ოქტ. კავშირის თანამგრძნობი.

**კიევი.** 6 ხმით მეტი მიიღო პირველ კურიაში პროგრესისტების კანდიდატმა სტაროდომსკიმ, მაგრამ რაკი მემარჯვენე კანდიდატ პროცენკოზე საჭირო ხმის უმეტესობა ვერ მიიღო ამიტომ 19 ოქტომბერს ამას გაარჩევს ქალაქის საარჩევნო კომისია. მეორე კურიაში ხმების დათვლა არ დამთავრებულა.

**ოდესა.** პირველ კურიაში აირჩიეს დეპუტატათ ნაფიცი ვექილი იოსებ იაკ. პერგამენტი. მეორე კურიაში, რადგან საჭირო ხმის უმეტესობა ვერც ერთმა ვერ მიიღო, ხელმეორე არჩევნები დაინიშნა 23 ოქტომბრისათვის.

**რიგა.** მეორე კურიაში საჭირო რიცხვი ხმებისა ვერც ერთმა ვერ მიიღო. არჩევნები მეორეთ მოხდება.

**გროდნო.** ციხეში აღმოაჩინეს რევოლვერები, პატრონები და სხვა და სხვა ინსტრუმენტები. რეშოტკა, რომელშიაც დამნაშავენი იყვნენ—გახერხილია. იატაკ ქვეშ აღმოაჩინეს გვირაბი.

**ბერდიანსკი.** სამმა მძარცველმა გაძარცვა ტროიცკის სასოფლო სასამართლო. გაიტაცეს 1300 მან. მეტი, გლეხების მიერ შეტანილი გადასახადი.

**შჩიგრი.** დილის 4 საათზე რევოლვერით მოკლეს მამასახლისი როსხოვეცკის ვოლოსტისა,

**კრასნოიარსკი.** მოკლეს პარტიულ ნიადაგზე წევრი „რუსთა კავშირისა“ სემენოვი.

**პეტერბურგი.** დილის 3 საათზე სისრულეში მოიყვანეს სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენი რაგოზინნიკოვის, შესახებ, სიკვდილით დასჯილ იქნა მაქსიმოვსკის მოკვლის გამო.

**მოსკოვი.** ნაფიც ვექილს ჟდანოვს, რომელსაც ექსპროპრიაციაში მონაწილეობის მიღება ბრალდება, სამხედრო საოლქო სასამართლომ 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

**პოლტავა.** დაბა სნუშინში ცეცხლმა იმსხვერპლა 50 მეტი მოსახლე. ზარალი დიდია.

**ორენბურგი.** 17 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე ჩელიაბინსკიდან ეკატერინბურგს მიმავალი მატარებელი განზრახ ლიანდაგის გაფუჭების გამო დაიმსხვრა. საფოსტო და ორი სამგზავრო ვაგონი დაზიანდა. ფოსტიანი ფოსტა ხელუხლებელი დარჩა. არავინ დაშავებულა.

**პსკოვი.** სოფ. მიხალაში, ველიკოლუცკის მაზრაში მოკლეს 7 კაცი, რომელთაც მოსტაცეს 1300 მან.

**ლოძი.** ცეგელნიანის ქუჩაზე აღმოაჩინეს ბინა რევოლიუციონერ-მაქსიმალისტებისა, სადაც ჩხრეკის დროს ნახეს—პარტიის ბეჭედი, არალეგალური ლიტერატურა, რამდენიმე ფულის მოსათხოვი წერილები და ბრაუნინგის ტყვიები. ბინაზე მყოფნი დაატუსაღეს.

**ვარშავა.** პოლიციამ დაატუსაღა 16 კაცი პოლონეთის სოციალისტურ პარტიის სამხედრო ორგანიზაციისა, მათ შორის ორი ქალია, რომელნიც ეკუთვნიან სამხედრო რევოლიუციონურ პარტიას. დაატუსაღეს კრასინსკის ბაღში მთელი კრება ბუნდოვველებისა 52 კაცი.

**ელისავეტპოლი.** დაიჭირეს 11 ივლისს შუშის ციხიდან გაქცეული კატორჟნიკი ნაგიტაგი-ოღლი.

**ჰელსინგფორსი.** გამოცხადებულია უმაღლესი დრამოტა, რომელიც ავალებს გენერალ-გუბერნატორს, რომ 20 ოქტომბერს დაიხუროს სეიმი.

**ჰელსინგფორსი.** ის ხმები, ვითომც ფინლიანდიის სეიმი დათანხმდა რაღაც პირობით 20 მილიონ მარკის გადახდაზე—სიმართლეს მოკლებულია. ამის შესახებ სჯაბაასი სეიმმა გადადვა შემდეგისათვის.

**სევასტოპოლი.** ჯავშნოსან „პატიომკინის“ მატროს მატიუშენკოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

**ტაშკენტი.** ღამით ვაგზლიდან დაბრუნებულ 4 ჟანდარმს ბომბა ესროლეს. ბომბის ნაგლეჯმა ერთს თითი წააწყვიტა.

რედაქტორ-გამომცემელი
**იოსებ ზ. გიორგობიანი**

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.